ინკუბატორი სკოლიდან იციყველამ ჩადი მარკეტში იყიდე ათი ოდე კვერცხი და მალეწიწილებიცგვეოლება. ან რად გინდაინკუბატორის შენება. ხომ გინახავს კრუხიროგორ უვლი წიწილებს აბა ხელი ახლე წიწილას. იქვე მოგახტება კრუხი; ეზო გინდა და დიდი არაფერი. ბიჭს თვალეები არა ჰქონდა გახელილი რომ ერბოკვერცხი შეეწვა დედას.

დღევანდელი კვერცხი ჯობია ხვალინდელქათამს.

28

ჭირსა შიგან გამაგრება.....¹⁰

ძველი ამბავი

სოფელს მტერი შემეისია, ააოხრა, გაძარცვა და გადაწვა იქაურობა. ვინც მოასწრო გაიხიზნა და ტყეს შეეფარა. ბევი ვაჟკაცი დაეცა გპირულად და მტერმაც იზარალა.გავიდა დრო, საძარცვავი რომ აღარ იყო აიყარა მტერი და მოშორდა აქაურობას.დაბრუნდნენ ხიზნები, გამოითირეს დაკარგულები. დამშვიდდა ხალხი და შეუდგა საქმეს.

დაფიქრდნენ თავკაცები:

-სულ ასე ხომ არ ვიქნებით?

იფიქრეს და ციხის შენება გადაწყვიტეს. ქვა იყო და თიხა. მორეკეს ხარები და შეუდგნენ შენებას. ის იყო მორჩნენ, ააგეს ციხე და მტერიც გამოჩნდა. ის იყო მოასწრეს, შერეკეს საქონელი და თავი შეაფარეს ციხეს და მტერიც მოადგა კედელს. ვერ შევიდა მტერი ციხეს შიგნით და ვერც კედელს დააკლო რამე. მტერმა დადგა კარვები, ჩასაფრდა უტევდა ციხეს. უშენდა ცეცხლ წაკიდებულ ისრებს და იმუქრებოდა.

მოაკლდა მტერს სანოვავე, ვეღარ გაძლო და აყრა დააპირა. წამოვიდა წვიმა და რა წვიმა, -კოკისპირული. ნიაღვარმა ჩამორეცხა ციხის კედლები, საძირკველში აქა იქ გაჩნდა ხვრელი. შემოვიდა მტერი დახვდა ხმალამოლებული მცველი. დაიწყო სისხლისღვრა. ვერ იტყოდი ვინ მეტი იყო და ვინ სჯობნიდა. დილა რომ გათენდა, მტერი აღარ იყო. არ იყო არც მტერი და არც საქონელი. წაახსნა მტერმა საქონელი და ჩუმი გაიპარა. დაედევნენ მტერს მდევრები, მაგრამ გვიან იყო.

დასხდნენ თავკაცები და ისევ დაფიქრდნენ იფიქრეს და სამი ვაჟკაცი მიავლინეს მეფეს:

-ციხის შენება გვასწავლელ.

ორი დარჩა მეფის სამსახურში და ერთი დაბრუნდა დაოტატებული.

-ციხეს ღრმა საძირკველი უნდა ჰქონდეს და ქვითკირით უნდა ვაშენოთ-ბრძანა ოტატმა.ბრძანა ოტატმა და დაიწყო სამზადისი. მორეკეს ხარები, მოზიდეს ქვა, მოზიდეს კირი წყაროს წყალში და ყველაფერი რომ მზად იყო დაიწყეს შენება. დაიწყეს და დაამთავრეს კიდევაც, დადგა შემოდგომა, დაიწყო რთველი, აიღეს მოსავალი, დაიწყო ავდარი. ჩამორეცხა წვიმამ ციხი კედლები, ჩამორეცხა მაგრამ კი არ დაშალა კედლები, მტრის გულის გასახეთქად ციხე უფრო დაშვენდა და

¹⁰ გამოქვეყნდა – გაზეთი “ნერგი” 2003 წ. 16-31 დეკემბერი

გალამაზდა. მტერიც გამოჩნდა. -მოსავალიც აღებულება, საქონელიც მოსუქებულია და ხელსაც მოვითბობთო-უხაროდა მტერს.

მოვიდ მტერი და შეუტია ციხეს. ვერც ჭიშკარი გახსნა და ვეც კედელს მოუხერხა რამე, ალყა შემოარტყა მტერმა ციხეს, კოცონები დაანთო და ჩასაფრდა. წვიმაც წამოვიდა: დიდი და მცირე. კოკისპირული წვიმაც მოვიდა: ჩამორეცხა კედლები, ციხე იდგა. გული მოსდიოდა მტერს. ციხე იდგა და ვერაფერს აკლებდა მტერი. იმედი გაუცრუვდა მტერს, აიყარა და მოშორდა იქაურობას.

გამოვიდა სოფელი, იზეიმა. იზეიმა და მიჰყო ხელი საქმეს. გავიდა შემოდგომა, ზამთარი, დადგა გაზაფხული და მტერი აღარ გამოჩენილა. მაგრამ რა გამოლევს კაცის საბრუნავს? დაიწყო ჭირი. ბევრი ადამიანი გადაყვა ჭირს და განახევრდა სოფელი, ვინც ცოცხალი დარჩა ძლივს დალასლასედა. ეხლა არც მტერი მოდიოდა და არც მოყვარე.

იმედი აღარ იყო და მეფესთან მიავლინეს ვისაც ფეხზე დგომა შეეძლო. მობრუნდა შიკრიკი და ჩამოიტანა მეფის ნაბძანები:

-გამაგრდით და ღმერთი გიშველითო.

გამაგრდა სოფელი და ღმერთმაც უველა. არაფერია გაუთავებელი. ჭირმა მოგჭამა ჭირი და იმის შემდეგ არც ჭირი იყო და არც მტერი გამოჩენილა.

აკი უთქვამთ: ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსა

29

ასე უნდა გამარჯვება¹¹

ძველი ამბავი

შერმადინი და ხადუმული მეფე ქვეყნის მომავალზე ბჭობდნენ, რომ შორს მთის წვერზე კოცონი დაინთო დაბარებმა ამცნეს მეფეს მტრის მოახლოვესა.

შერმადინმა იარაღი რომ აისხა და ქვევით რომ ჩვიდა, უფლისწული უკვე უნაგირში იჯდა და ძლივს იკავებდა ბედაურს.

ქუზე კაცი გამოვიდა ჯარისციკრადა გზაგაუდგა.

მიული არ იყვნენ მტრ ჯარი გაშლილიყო მთიდან მთამდე და შუაშიკარავი ჩაუდგავთ თავის მბრძანებელიათვის. იქით ვილაცა იდგა, მუშებს იქნევდა და გაჰყვივო რაღაც გაუგებარს. აქეთ ჩვეისპა იდგა, ლოცულობდადა სამზადისში იყო.

შერმადინი იდგა უფლისწულთან და მფის რჩევას გადასცემდა თავის აღბრდილს.

-დანარჩენი ღმერთის ხელშია -დაასრულა ჭაღარა მეომარმა.

-ღმერთი გვიშველის-თქვა და პირჯვარი გადაიწერა -სარდალმა.

-ის ვინ არის, რომ გაჰყვივის?-იკითხა უფლისწულმა.

-მეფე გამოვიდეს და ჩამბარდეს.-იყო პასუხი.

-რას ბედავს ეგ უწმინდური?-გაისმა აქედან და იქიდან.

-მე ვარ უფლისწული და მე მითხარი თუ გაქვს სათქმელი!-შესძახა და გააჭენა ცხენი ველზე და გააშიშვლა ხმალი.

-შენ რა ჩემი ტოლი ხარ... დაიკარგა მტრის ყიჟინა ხმაურში.

¹¹ გამოქვეყნდა – გაზეთი “ნერგი” 2003 წ. 16-31 დეკემბერი

-მე ვარ მეფე და წინ დამიდექი-დაიძახა უფლისწულმა და წინ გაიჭრა.

-მე გაჩვენებ...-*ნა. ატყდა ხმლის ლაწალუწი და ნაპერწკლის კორიანტელი. ხმლის ლაწუნს ახლა ნალის თქარათქური და ცხენის ჭიხვინი მიემატა. უცებ სიხუბე ჩამოვარდა.*

მტრის მბრძანებელი ცხენიდან გადმოვედო მოქნეულხმალს და გულაღმა იწვა მიწაზე. გადმოხტა უფლისწული და მივიდა მტერთან. იმან თავი წამოწია და უთხრა:

-მოდი მომკალი. რას უყურებ.

-მე მწოლიარეს არა ვკლავ... ადექი -უპასუხა უფლისწულმა.

ადგა მოწინააღმდეგე.

-მე არც უიარაღოს ვებრძვი.- უთხრა უფლიწულმა.

მტერმა გესლიანად გაუღიმა ხმალამოღებულ მეტოქეს. აიღო თავისი ხმალი, კიდევ შეხედა გამარჯვებულს და გაბრუნდა შინისაკენ.

სპა გამარჯვებული დაბრუნდა. ყველა აქებდა სპასალარს. ის კი თავი გამზრდელს ი კი ამბობდა:

-გველსა ხვრელით ამოაძვრენს ენა ტკბილად მოუბარი

30

ზოგი ჭირი მარგებელია

.

31

ძალი ყფეს და ქარავანი მიდის

32

ვისაც მოუკლავს ის მოკლავს ირემსა მაღალ რქიქნსა

33

ამირან გულში მღეროდა, ბიჭებო ბანი მომეცით

34

ვინ შეაბავს კატას ეჟვანს?

35

შვილი მტრად გაზარდე,.....

დაკლული საქონელიც ბევრი მინახავ და მისგან დამზადებული შაშიც და ძეხვიც, მაგრამ რაც აფრიკაში ვნახე არასოდეს არ დამავიწყდება.

ჯილი შორს იყო ანტილოპამ რომ იმშობიარა რასაც ბუჩქებში მიმალული ლომი აკვირდებოდა. დედამ იგრძნო რომ მის შვილს საფრთხე ემუქრებოდა ცხვირს ურტყავდა გვერდებში:

—ადე იარე. ადე და გაიქეციო.

ლომი დედას რომ ვერ დაეწია ნუკრს მიუახლოვდ და თითქო უნდა გაეგო: ნუკრი რატომ არ გარბის: გვერდებზე ცხვირი დაუთათუნა იქნება სადღაც საკულარი შვილიც გაახსენდა. ნუკრმაც იგრძნო დედის სიტბო და იქნებ იმედიც გაუჩნდა; გადავრჩიო, მაგრამ გუმანით უფრო საზარელს მოელოდა, გვერდზეც გაიხედა, იქნებ

გავიქცეო, მაგრამ ვერ სეძლო. უეცრად ატყდა ხმაური და გამოჩნდა უშველებელი სპილო; უშველებელ ყურების ბარტყუნით და ხორთუმის ქნევით, თითქოს იმედიც გამართლედდა, მაგრამ არა. ლომმა აღარ მოიცადა, გაუყარა ეშვები ნუკრს სუსტ კისერში და მოაშორა იქაურობას.

შვილი ძტრად გაზარდე, მოყვრად გამოვადგება

36

ცა ქუდად და დედანიწა ქალამნად

ზღაპრები

ივანე და ჩივანე

იყო ერთი კაცი, სახელად ივანე. დიდი ხანია ცოლი ჰყავდა ივანეს მაგრამ შვილი არ უჩნდებოდა. ივანე და მისი ცოლი დღედაღამ ლოცულობდნენ და ღმერთსა თხოვდნენ: შვილი მოგვეციო. ღმერთმა მოისმინა და ერთ მშვემეიერ დღეს შვილი შეეძინათ. ვაჟი იყო ეს პირველი შვილი და დედამის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. დრო მიდიოდა და ბიჭს სახელი ვერ შეურჩიეს. მამას ივანე ერქვა და ამაზე უკეთესი რა უნდა მოეფიქრათ? ბიჭს მამის სახელი, ივანე დაარქვეს. ცოტახანში ივანეს კიდევ ერთი ვაჟი შეეძინა. ესლა კი ნამდვილად უბედნიერესი კაცი იყო ივანე მთელს ქვეყანაზე და უფრო მეტ გასაჭირში ჩავარდა ივანე. უფროსს მამის სახელი ერქვა და უმცროს ვაჟსაც ივანეს ხომ არ დაარქმევდნენ?

უსახელოდ იზრდებოდა უმცროსი ვაჟი და მას არც მშობლების სიყვარული აკლდა და უმფროსი ძმისა მამამ ვენახი და სახლკარი თანაბრად დაუყო ძმებს. უმცროსი კი ნებივრობდა და სულ მეტს მოითხოვდა: რაზეც ხელს დაადებდა - ჩემიაო. ცოლი უნდა შეერთო უმფროს და უმცომა დაასწრო-პატარა ვარ და იმიტომ მჩაგრავთო? არაფერი რომ აღარ ჰქონდა სათქმელი უმცროსმა ჩივილი დაიწყო: ეს არ მინდა და ეს არაო. როგორც იქნა მოიფიქრეს და უმცროსს ვაჟს ჩივანე დაარქვეს.

ივანე ხის საჭრელად წავიდა და ჩივანეც წაყვა. ჩივანემ ხეზე ხმელი ტოტი შენიშნა და ძმას უთხრა ადიო. ივანე ავიდა ხეზე. და ჭრა დაიწყო.

-მოიცა- მიიძახა ჩივანემ და თვითონაც ავიდა, გამოართვა ძმას ხერხი და დაიწყო ჭრა.

-რას აკეთებ, მე ხომ ჩამოვარდები- ყვიროდა ივანე. ჩივანემ ყური არ დაუგდო. ტოტი მოტყდა და ივანე ძირს ჩამოვარდა. ჩამოვარდა ივანე და ფეხი მოიტეხა. მოიტეხა ფეხი ივანემ და დაკოჭლდა. ჩივანემ უფროსს ძმას ჩამოართვა მისი წილი სახლკარი:

-ცოლი შენ არა გყავს და რად გინდაო.-

ხმა დაირხა:

-გამოქვაბულში დევი დასახლდა და შესაწირს მოითხოვსო და ჩივანემ სთქვა:

-ივანე კოჭლია, არც ცოლშვილი ჰყავს და არც სახლკარი აქვს, წაიყვანეთო.

წავიდა ივანე გამოქვაბულში. შევიდა და დაჯდა ბნელ კუთხეში. იჯდა და ჩაეძინა კიდევ. უცებ ღრიალი გაისმა:

-მოვლბვარ! მოვდივარ!

გამოფხილდა ივანე. გამოფხიზლდა და ფიქრობდა სად არი თუ მოვდივარო და ისევ ჩაეძინა. კიდევ რომ მოისმა ღრიალი წამოხტა ივანედა წამოიძახა:

-მოდით თუ მოდიხარ. რასა ღრიალბ!

უცებ ატყდა ხმაური, ჩამოინგრა ჭერი და კედლები, დღესავით განათდა და დაიფარა მთელი ძირი, ოქრო ვერცხლით და თვალ მარგალიტით. ივანე ხომ არაფერს არმოელოდა, იდგა და არ იცოდა რა ექნა. დევი აღარ მოვიდა და სახლში წასვლას ვინ დაუშლიდა. ეს ხომ დევის ქონებაა იფიქრა ივანემ, აიღო რაც მოეწონა და სახლში წავიდა. გაუკვირდა ყველას ივანე როვ ცოცხალი ნახეს. ჩივანე კი გაწყრა ამბავი რომ შეიტყო.

-ეგ რა მოიტანე რომ მოდიოდით .

-ჯორაქლეში შენია წადი და მოიტანე რაც გინდა-უპასუხა ივანემ. ადგა ივანე წაასხი ჯორაქლეში და შევიდა გამოქვაბულში. შევიდა და უკან ვერ გამოვიდა. აბა როგორ გამოვიდოდა იქიდან, როცა ვერც დატვირთული ჯორები და ვერც აქლეშები ფეხზე ვერა დგებოდნენ.

ჯადოსნური საათი

იყო და არა იყო რა. ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი პატარა ბიჭი, მეტ სახელად ბუზღუნა. ამ ბიჭს მეტსახელად ბუზღუნა იმიტომ შეარქვეს, რომ სულ ბუზღუნებდა: გაზაფხულზე-თოვლი რატომ დადნაო,ზაფხულში-ბალი რატომ გათავდაო.

ერთხელ, ძალიან რომ დაცხა ეაიკომ ბიჭი კაკლის ქვეშ დასვა და უთხრა:

-აქ იჯექი, არსად წახვიდე, მე ეხლავე მოვალ.- აიღო დოქი და მდინარეზე ჩავიდა.

ბიჭი იჯდა, იბუზღუნა, ადგა დაწავიდა. ჰავიდა და უღრან ტყეში შევიდა. შევიდა ბიჭი ტყეში და ცოტა იარა თუ ბევრი იარა ბბერ მუხას მიადგა. ეს მუხა ისეთი ბებერი იყო რომ მის მოზრდილ ტოტებზე თითო ოროლა მწვანე ფოთოლი ესხა, მისი დაგრეხილი და დაკოჭრილი ფესვები მიწაი არ ეტეოდნენ და მიწის ზემოდ იყვნენ გაწოლილი ზღაპრულ ურჩხულებივით.

მუხის ქვეშ ჩია, თეთრწვერა მოხუცი იჯდა. ეს მოხუცი ისეთი მოხუცი იყო, რომ თავს მალა ვერა სწევდა და მუხლებში ჰქონდა ჩაკიდული.

-გამარჯობა ბერიკაცო.-მიესალმა ბიჭი მოუცს.

-გაგიმარჯოს ბუზღუნა. -უპასუხა მოხუცმა.

-შენ რა იცი მე რომ ბუზღუნას მიძახიან? -გაუკვირდა ბიჭს.

-რაც დაგინახე სულ ბუზღუნებ და რა უნდამეფიქრა?-განუმარტამოხუცმა.

-მთელ ტყეში არც ბალია და არც მარწყვი.-თავი იმართლა ბიჭმა.

-გათავდა ბალი. ახლა მალე შემოვა ყუეძენი და ნაირ ნაირი ხილი.

-მე არ მინდა სხვა ნაირ ნაირი ხილი მე -აბუზღუნდა ბიჭი.

-გავა ეს წელი და ისევმოვა ბალი და მარწყვი.-ამვიდებდა მოხუცი.

-მეცხლა მინდა ბალი.-არ ცხრებოდა ბიჭი.

მოხუცმა ჩაყო ხელი ჯიბეში ამოიჩო საათი გაუწოდა ბიჭს და უთხრა:

-თუ ეგრეა აიღე. ეს საათი ჯადოსნურია, ისარ რომ დაატრიალებ დრო შეიცვლება და ისეთი დრო დადგება როგორც შენ გინდა. ისეთი დრო დადგება როგორც შენ გინდა და მიირთვი ის ხილი, რიმელიც შენ გინდა.

აიღო ბიჭმა საათი, დაატრიალა ისარი: დაღამდა,სადაც მზე კაშკაშებდა მთვარემ

გამონათა, სადაც ურჯი ცა იყო ვარსკვლავები აციმციმდნენ.

კიდევ დაატრიალა ბიჭმა ისარი და დაღამდა, მერე ისევ გათენდა. ბევრი რომ ატრიალა ისარი აცივდა. ამოცვივდა წითელყვითელი ფოთლები, დაუბერა ქარმა ატყდა ხმელ ფოთლები კორიანტელი, უფრო აცივდა და წამოლვიდა თოვლი. ჭიჭს შეცივდა და დამძრალ თითებს ძლივს ამოძრავებდა. მერე გამონათა მზემ, დადნა თოვლი, დათბა, დაცხა და გახარდა ბიჭს ხეზე მწიფე ბლი რომ შენიშნა.

მოტრიალდა ბიჭი მოხუცისათვის მადლობა რომ ეთქვა, მაგრამ არც მოხუცი იყო ახლო მახლო და არც სხვა ვინმე ულიერი. გაიხედა ბიჭმა შორს, არც კი ჩანდა სადმე მოხუცი. შორს ბიჭმა თავისი ტოლს მოკრ თვალი, დაუძახა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ხელებიც უქნია, მაგრამ ვარ გააგებინა. ის კი ჯაგებს მიეფარა და გაუჩინარდა.

მოკრიფა ბიჭმა ბალი და გულ რომ დაჯერა გაიხსენა თავისი დედა, მამა და დაიკო ჩამოჯდა ქვაზე დარიქრდა და ვერ გაახსენდა გზა შინ რომ დაბრუნებულიყო.

შეეშინდა ბიჭს ვაი თუ დავიკარგე და შინ ვეღარ დავბრუნდეთ და ატირდა. მერე დაფიქრდა და მიხვდა: აქ ხომ უღრან ტყით მოვედი, სახლშიც მ გზით მივალო.

შევიდა ბიჭი უღრან ტყეში იარა, იარა და სულ იყურებოთ: ჩემი სახლი ხომ არ მოჩანსო. მიდიოდა ბიჭი, მიდიოდა მანამ არ მოშვიდებოდა. მიირთმევდა ბალს მანამ არ გათავდა. ახლა ბალი კი არა სხვა ხილიც არსად იყო. დაატრიალა ბიჭმა ისარი და ისევ აცივდა. წამოვიდა თოვლი, უფრო აცივდა. ბიჭი სულ ატრიალებდა ისარს. წამოვიდა წვიმა, დათბა მზე გამონათა, აჭიკჭიკდნენ მერცხლები ექა ჟრიაძლით დასტრიალებდნენ ხის კენწეროებს. ცა ლურჯად შეიღება და მალლა. ქათქათა თეთრი გედებივთ ღრუბლები მიცურავდნენ. აყვავდა არემარე, აყვავდა ხეხილი, მალე ნაყოფიც გამოჩნდა და დამწიფდა კიდევ. გაუხარდა ბიჭს ბალახი წითელ მარწყვი რომ დაინახა. მოიკლა შიმშილი და ისევ გაუდგა გზას.

მიდიოდა ბიჭი თუ დაღამდებოდა დაატრიალებდა ისარს და გათენდებოდა. თუ წვიმდა ან თოვდა ივე ატრიალებდა ისარს, სულ დარი იყო და სიხარული.

კმიდიოდა ბიჭი და ბო/ოს მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: ტყე შეთხელდა და გამოჩნდა სახლი სადაც ცხორობდა მისი დედმამა და საყვარელი დაიკო. გაუხარდა ბიჭს. გაიქცა, შეაღო ჭიშკარი და შევიდა ეზოში. დაიკო იჯდა კქკლი ძირში გაშლილ ხალიჩაზე და თავი თოჯინას ეთამაშებოდა. გაუკვირდა ბიჭს დაიკოს რომ არ გაუხარდა ძამიკოს დაბრუნება, გაიქცა და შეეგება დედიკოს;

-დედა, დედიკო!. -დაიძახაბიჭმა, უნდოდა ჩახუტებოდა დედიკოს, მაგრამ დედამ არ მიიკარა შვილი:.

-ვინარის შენი დედა? ჩემი შვილი ბუზღუნა დიდი ხანია ტყეში დაიკარგა. შენ კი ბერი კაცი ხარ -დედამ თავი ვერ შეიკავა და ატირდა.

ამ დროს მამა გამოვიდა სახლიდან და ბიჭი მისკენ გაიქცა.

მამამ ხელი მოკიდა, მიიყვანა სარკესთან, ჩაახედა და უთხრა:

-შენ ჭაღარა მოხუცი ხარ. ეხლა მითხარი: ვინ ხარ შენ და აწ რამ მოგიყვანა.

შვილმა უამბო მამას რაც დაემართა. მამამ მოუსმინა და უთხრა:

-თუ ეს მართალია აი ე ეგ შენი საათი და მდინარეში გადაავდე.

ადგა ბიჭი, ჩაირბინა მდინარესთან, გადაქედო საათინ და დაუბჭუნდა მშობლებს ისეთივე პატარა ბიჭი, როდორც იყო.

მას შემდეგ ბიჭი აღარ ბუზღუნებდა და დღემდე ტკბილად ცხოვრობს დედამამს და დაიკოსთან ერთად.

ჭირი იქა, ლხინი აქა. ქატო იქა, ფქვილი აქა.

მზეთუნახავი და ცხრა თავიანი დევი¹

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. ეს კაცი ტანმორჩილი იყო და ამიტომ კაცუნას ეძახდნენ. კაცუნა ტანმორჩილი იყო, მაგრამ ხელმარჯვე და გულადი მონადირე გახლდათ.

კაცუნა უდრან ტყეში ცხოვრობდა. მისი სახლი ერთად ერთი იყო მთელ არეშარეში და მეზობლად გარეულ ცხოველებისა და მხეცების მეტი არავინ ჰყავდა, მას ერთი გოგო ჰყავდა, მზია და მასზე ლოცულობდა დღე და ღამე.

მზია დედით თბოლი იყო და ისეთივე ლამაზი, როგორც დედამისი, ცხრა წლის წინ ცხრათავიანმა დევმა რომ გაიტაცა და ცხრა მთას იქით რომ გადაკარგა.

მამა სანადიროდ რომ წავიდოდა, მზია მარტო იყო, შინაურ საქმეს რომ მორჩებოდა ბუხარს მიუჯდებოდა, სოროდა წრუწუნა გამოძვრებოდა. მზია წრუწუნას ჩირს ან შაქარს გადაუგდებდა. წრუწუნა რომ გეახლებოდათ დაიწყებდა თამაშს: ხან დაიძალებოდა და იქიდან იყურებოდა, აბა მზია თუ მხედავსო, მერე შუა ოთახში ბუქნას უვლიდა და ყალყზე დგებოდა. როცა მზია მზია სიხარულით ტაშს დაუკრავდა კმაყფილი წრუწუნა სოროში მიიძალებოდა. მზია ისევ მარტო რჩებოდა, მიუჯდებოდა ფანჯარას და გზას გაჰყურებდა მამის მოლოდინში.

მამა შინ ნანადირევით, საჩუქრებითა და ტკბილეულით დატვირთული ბრუნდებოდა. მამა ამაყობდა თავისი შვილით და გზაში უამბობდა ნაცნობს და უცნობს, რა კარგი და ლამაზი შვილი ჰყავდა.

მამამ იმდენი აქო ზია, იმდენი აქო, რომ ამბავი ცხრა მთას იქით, ცხრათავიან დევის ყურამდე მივიდა. გაიგო თუ არა ცხრათავიანმა დევმა ეს ანბავი ახტა და დახტა:

-როგორ, ჩემს სამფლობელოში მზეთუნახავია და მე არაფერი ვიცი?!-ახტა დახტა დევი და წამოვიდა, წამოვიდა და გზა და გზა მიანგრია და მოაგრია რის განგრევაც შეიძლებოდა. სადაც გაიარა დევმა კვალი დატოვა: ქედში უღელტეხილი გაჩნდა, ხევში ღვარცოფი აბობოქრდა, კლდეს რომ ანგრევს და დევის ტოლა ლოდები რომ მოქვს დღემდე. დააყენა დევმა კორიანტელი, მოიტაცა მზია და დაქრა.

დაბრუნდა მონადირე სახლში საჩუქრებითა და ტკბილეულით დატვირთული და სახლი ცარიელი დახვდა. ეძება მამამ შვილი შინ და გარეთ, მაგრამ ამაოდ. დაჯდა მამა და აქვითინდა. გამოყო წრუწუნამ თავი სოროდან. ნახა რაც მოსდის მონადირეს და უამბო ყველაფერი მრაც ნახა თავისი თვალით. უამბო და თვითონაცაქვითინდა.

¹ გამოყვეენდა – გაზეთი “ნერგი” 2004 წ. 16-30 აპრილი;

სოროდა წრუწუნა დედა გამოვიდა და შეარცხვინა მტირალი:

-რა დროს ტირილია? ადექი და მიხედე შენს შვილს.

მონადირემ მოიწმინდა ცრემლი და უთხრა:

-როგორ ვუშველო ჩემს შვილს?

-როგორ თუ როგორ?-გაბრაზდა წრუწუნას დედა.

-მიჰყევი დევის ნაკვალევს და გადარჩინე შენი შვილი.- მამა უფროაქვითინდა

-კარგი მე გიშველი.-შეეცოდა წრუწუნასდედა მონადირე.-იმ ბუნბერაბ მთის ძირში ჩემი მოგვარე ნახე და ის დაგარიგებს რაქნა და როგორ მოიქცე.

აისხა მონადირემ გუდა ნაბადი, გზას გაუდგა და ცოტა იარა თუ ბევრი იარა იმ ბუმბერაბ მთას მიადგა,აქ აზვირთებულ მდინარის პირას ხის ტოტბედაკიდულიუ ღამურა დახვდა. მონადირემ უამბო ღამურას თავისი გასაჭირი. იფიქრა ღამურამ და უთხრა:

-მეორე მთის ძირში ღემი ქვისლი დაგხვდება. უამბე ყველაფერი და ი გიშველის.

კაცი გზას გაუდგა, იარა და მეორე ნთი ძირას სიასამური დახვდა და მან უთხრა:.

-ვიცი ყველაფერი, მესამემთის ძირში ჩემი ძმადნაფიცი გელოდება.

მესამე მთის ძირას თხუნელა ელოდებოდა მონადირეს.

-მეოთხე მთის ძირას გადახვალ თუ არა ჩემი სიძე გელოდება და იმას აქვს შენთვი სათქმელიო-თქვა თხუნელამ და მიიძალაოროში.

მონადირე არც აქ განერებულა დიდხანს.

იქ ციყვის სიძე დახვდა. მან დაამშვიდა სტუმარი.გამოაცილა და გზაში უთხრა:

-იმ მთას რომ გადახვალ დიდი მუხაა გზის პირას, იქ ჩემი მოყვარე გელოდება.

არ დაგავიწყდეს უთხრა, რომ ჩემი გამოგზავნილი ხარ.

მეშვიდე მთასთან წავის ყარყუმის,მისი სიძის, დედამთილის და კიდევ ხვათა და შხვათა რჩევა დარიგებითა და შუამდგომლობით, როგორც იქნა მონადირე მეცხრე მთას მიადგა. მოსვლა ვერ მოასწრო მონადირემ რომ თავს ღამურა გაადგა, სწორედ ის ღამრა წრუწუნას მახლობელი რომ იყო. ღამურამ როგორც ძველ ნაცნობი ისეშილო მონადირე. მანაც დაამშვიდა და უთხრა:

-წადი და იმ ტყეში ერთი ბრუციანი დედაბერი მოძებნე. თუ გიშველის ის გიშველის. მე კი ვრაფრით ვეღარ დაგეხმარებო.

შევიდა მონადირე ტყეში დამიდიოდა უგზო უკლოდ და ცრემლი დიოდა ღაბაღუპით. გზაში ცალფეხა და ცალ თვალა კოკროჭინების გუნდი აედევნა. გაუხარდა მონადირეს: -იქმნება ამათ მიშველონო.

იმათ ყურიც არ ათხოვე. კოკონება გარს დასტრიალებდნენ მონადირეს, სიცილ ხარხარით გაიფანტნენ და გაუჩინარდნენ.

მიდიოდა მონადირე, მიდიოდა და ბოლოს ეკლიან ბარდებში ჩაფლულ ძველ ქოხს მიაწყდა. მაგრამ როგორ შესულიყო როცა არც გზა იყო და არც კარები არსად ჩანდა. ბევრი ეცადა მონადირემ და როგორც იქნა შევიდა ქოხი. შევიდა და რა ნახა: მთელი ქოხი აბლაბუდებით იყო სავსე. კუთხეში ძველ სავარელში დედაბერი იჯდა და კალთაში ბანჯღვლიანი კატა ჰყავდა მოკალათებული. კატა დიდ თვალებს აბრიალებდა სიბნელეში. მიესალმა მონადირე დედაბერს და უამბო თავისი

გასაჭირი. მაგრამ დედაბერი ბრმა იყო და ყრუმუნჯიც და რას გაიგებდა? მაგრამ მიხვდა დედაბერი რომ სტუმარი ტყუილად არ მოვიდოდა, აქ დევის ყურის ძირში. მოაგონდა დედაბერს რომ უწინ დევის მოახლე იყო და დევს მისი ვალი ჰქონდა გადასახდელი. „ახლა დრო დადგა ანგაიშსწორებისაო“ გაიფიქრა დედაბერმა, და გაუწოდა მონადირეს ეს კატა და ერთი ტომარა პილპილი.

მონადირემ აიყვანა კატა ხელში, მხარზე გადაიდო ტომარა, მადლობა გადაუხადა დედაბერს და გზას გაუდგა. გზაში მონადირე დევის ხვრინვა მოესმა. დევს ეძინა. მივიდა მონადირე დევის სასახლესთან, იქვე ბეღელი იყო და იფიქრა მონადირემ:

-ეს კატა ხელით ხომ არ ვატარო. ბეღელიში იყოს მანამ მოვიცლიო.-

გახსნა კარი და შიგ შეაგდო კატა. შეაგდო და გამოცვივდნენ ვირთხები. გამოცვივდნენ და გაიხსოვრებოთ დევის სასახლე და საკუჭნაო.

ატყდა ჩოჩქოლი და აყალმაყალი გაივიფიდა დევმა და მორთო ღრიალი:

-აბა, ჩქარა, უშველეთ ჩემს სარჩო სანოვავეს!

გამოცვივდნენ დევის დედა, ყმები, მოახლეები მუსრს ავლებდნებ ვირთხებს და ისე შორს გარეკეს დანარჩენი რომ აღარ ისმოდა დევის ყიჟინი.

დრო იხელთა მონადირემ, მოიარ ჯურღმული და თან იძახოდა:

-სად ხა ვილო მზია, ხმა გამეცი!

ქვედა მოიმა მზიას ხმა:

-აქ ვა მამა, ცხრაკლიტურში. მიშველე!

ჩავიდა მონადრე ქვესკნელში, დაღეწა ცხრა კლიტე და გაანთავისუფლა თავისი შვილი მზია, მზია და მზიას დედა, ევემა ცხრა წლის წინათ რომ გაიტაცა. ყველანი ამოვიდნენ ჯურღმულიდან და გახარებულნი გაუდგნენ გზას შინისაკენ.

მიდიოდნენ და გზაში დევის ხენეშა და ფეხის ბაგაბუგი მოისმა. გაახსენდა მონადირეს დედაბრის ნაბოძები პილპილი, ამოიღო ერთი მუჭა, მიაყარა ნაკვალევს და ნაბიჯს მოუმატეს დევნილებმა. დასუნა დევმა ნაკვალევს თუ არა დააცემინა და ისე დააცემინა, რომ შეხტა და ისე შეხტა რომ ხე და ბუჩქი მოგლიჯა ძირფესვიანად და ზევით აიტაცა. აიტაცა და ისე დაეცა ძირს ბრაგვანით. რომ ძლივს ადგა, ადგა და კიდევ დასუნა ნაკვალევს და კიდევ დააცემინა და უფრო მაღლა შეხტა და უფრო მაგრად გაადინა ბრაგვანი.

დევის გზა აებნა და ვეღარ სდია დევნილებს.

ხელმარჯვე მონადირე, ზეთუნახავი მზია და უფრო ლამაზი დედამისი მშვიდობით დაბრუნდნენ სახლში და დღემდე მშვიდად და ტკბილად ცხოვრობენ წრუწუნას და წრუწუნას დედასთან ერთად,

ჭირი იქა, ლხინი აქა. ქათო იქა, ფქვილი აქა.

ბუზღუნა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი პატარა ბიჭი, მეტსახელად ბუზღუნა. ამ ბიჭს ბუზღუნა იმიტომ შეარქვეს, რომ სულ ბუზღუნებდა: გაზაფხულზე თოვლი რატომ დადნაო და ზაფხულში ბალი რატომ გათავდაო.

ერთხელ, ძალიან რომ დაცხა, დაიკომ ბიჭი კაკლის ძირში დასვა და უთხრა: აქ იჯექი. უჩემოდ არსად წახვიდე, მე ახლავე მოვალ. აიღო დოქი და წყალზე ჩავიდა.

იჯდა ბიჭი, იბუზღუნა, ადგა და წავიდა. წავიდა და უღრან ტყეში შევიდა. შევიდა ბიჭი ტყეში. და ცოტა იარა თუ ბევრი, დიდ მუხას მიადგა. ეს მუხა ისეთი ბებერი იყო, რომ მის მოზრდილ, გამხმარ ტოტებს თითოთროლა მწვანე ფოთოლი ესხა. მისი დაგრეხილი და დაკოჭრილი ფესვები მიწაში არ ეტეოდნენ და მიწაზე იყვნენ გაწოლილი ზღაპრულ ურჩხულებივით.

მუხის ქვეშ ჩია, თეთრწვერა მოხუცი იჯდა. ეს მოხუცი ისეთი მოხუცი იყო, რომ თავს მაღლა ვერ სწევდა და მუხლებში ჰქონდა ჩაკიდული.

გამარჯობა, ბერიკაცო – მიესალმა ბიჭი.

გაგიმარჯოს, ბუზღუნა – უპასუხა მოხუცმა.

შენ რა იცი, რომ ბუზღუნას მეძახიან? – გაუკვირდა ბიჭს.

რაც დაგინახე სულ ბუზღუნებს და რა უნდა მეფიქრა? – განუმარტა მოხუცმა.

მთელ ტყეში არც ბალია და არც მარწყვი – თავი იმართლა ბიჭმა.

გათავდა ბალი. ახლა შემოვა ყურძენი და სხვა ნაირ-ნაირი ხილი.

მე არ მინდა სხვა ნაირ-ნაირი ხილი – აბუზღუნდა ბიჭი.

გავა ეს წელი, ისევ მოვა ბალი და მარწყვი – ამშვიდებდა მოხუცი.

მე ახლა მინდა ბალი და მარწყვი.

მოხუცმა ჩაიყო ხელი ჯიბეში, ამოიღო სათი, გაუწოდა ბიჭს: თუ ეგრეა, აიღე ეს საათი, ჯადოსნურია, ისარს რომ დაატრიალებ, შეიცვლება დრო და ის დრო დადგება, რომელიც შენ გინდა და მიირთვი ის ხილი, რომელიც მოგესურვება.

აიღო ბიჭმა საათი, დაატრიალა ისარი: დაღამდა. სადაც მზე კაშკაშებდა, მთვარემ გამოანათა, სადაც ლურჯი ცა იყო, ვარსკვლავები აციმციმდნენ.

კიდევ დაატრიალდა ბიჭმა ისარი და გათენდა. კიდევ დაატრიალა ისარი და დაღამდა. მერე ისევ გათენდა.

ბევრი რომ ატრიალა ბიჭმა ისარი, აცივდა. ჩამოცვივდა წითელყვითელი ფოთლები. დაუბერა ქარმა. ატყდა ხმელი ფოთლების კორიანტელი. უფრო აცივდა. წამოვიდა თოვლი. ბიჭი აკანკალდა და დამზრალ თითებს ძლივს ამოძრავებდა. მერე გამოანათა მზემ, დათბა. დადნა თოვლი. დაცხა. გაუხარდა ბიჭს, ხეზე მწიფე ბალი რომ შენიშნა.

მოტრიალდა ბიჭი, მოხუცისთვის მადლობა რომ ეთქვა, მაგრამ არც მოხუცი იყო ახლმძახლოს და არც სხვა ვინმე სულიერი. ვაიხედა ბიჭმა შორს. მოხუცი არც იქ ჩანდა. ძალიან შორს თავისი ტოლი ბიჭი შენიშნა. დაუძახა, იყვირა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ხელიც უქნია, მაგრამ ვერაფერი გააგებინა. ის ჯაგებს მიეფარა და გაუჩინარდა.

მოკრიფა ბიჭმა ბალი და გული რომ იჯერა, ჩამოჯდა ქვაზე და გაახსენდა თავისი დაიკო. დედიკო და მამიკო. შინ დაბრუნება მოუნდა, მაგრამ არ იცოდა, საით ევლო.

შეეშინდა ბიჭს, ვაი თუ დავიკარგეო და ატირდა. მერე დაფიქრდა და მოიფიქრა კიდევ – აქ თუ უღრან ტყით მოვედი, შინაც უღრანი ტყით უნდა მივიდეთ. შევიდა

ბიჭი უღრან ტყეში. შევიდა და იარა. მიდიოდა და შორს იყურებოდა: ჩემი სახლი ხომ არ მოჩანსო. მიდიოდა ბიჭი და მიდიოდა, მანამ არ მოშვიდა. მოშვიდა და ხეხილებზე ბალი კი არა, სხვა ხილიც არსად ჩანდა.

ამოიღო ბიჭმა საათი და დაატრიალა ისარი. აცივდა. წამოვიდა თოვლი. უფრო აცივდა, წამოვიდა წივიმა. ამოვარდა ქარი. ბიჭი კი სულ ატრიალებდა და ატრიალებდა ისარს. დათბა. აჭიკჭიკდნენ მერცხლები და ჟრიაშულით დასტრიალებდნენ ხილს კენწეროებს. ცა ლურჯათ შეიღება და მაღლა, თეთრმა ღრუბლებმა ქათქათა თეთრი გედებივით დაიწყეს ცურვა. აყვავდა არემარე, აყვავდა ხეხილი, ნაყოფიც გამოჩნდა და დამწიფდა კიდევ. გაუხარდა ბიჭს წითლად შეღებილი ბალი რომ დაინახა. მოიკლა შიმშილი და ისევ გაუდგა გზას. მიდიოდა და მიდიოდა ბიჭი. თუ დაღამდებოდა, დაატრიალებდა ისარს და გათენდებოდა. თუ წვიმდა, ან თოვდა, დაატრიალებდა ისარს და გამოიდარებდა. სულ ღარი იყო და სიხარული.

მიდიოდა ბიჭი და ბოლოს მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: ტყე შეთხელდა და გარეთ გამოჩნდა სახლი, სადაც ცხოვრობდნენ მისი დედ-მამა და საყვარელი დაიკო. გაუხარდა ბიჭს, მიიბრინა, შეაღო ჭიშკარი და შევიდა.

ეზოში დაიკო იჯდა კაკლის ძირში გაფენილ ხალიჩაზე და თავის საყვარელ თოჯინას ეთამაშებოდა. ბიჭს გაუკვირდა, რომ დაიკომ ვერც იცნო თავისი საყვარელი ძამიკო.

ბიჭმა დედასთან მიიბრინა და დაიძახა:

დედა, დედიკო!

ბიჭს უნდოდა, ჩახუტებოდა დედას, მაგრამ დედამ ახლოს არ მიიკარა.

ვინ არის შენი დედა? ჩემი შვილი ბუზღუნა დიდი ხანია ტყეში დაიკარგა, შენ კი ბერიკაცი ხარ და ჩემი შვილი როგორ იქნებიო – დედამ ველარ მოითმინა და ატირდა.

ამ დროს სახლიდან მამა გამოვიდა. ბიჭი მამისკენ გაიქცა.

მამამ ხელი მოკიდა შვილს, მიიყვანა სარკესთან და შიგ ჩაახედა. ბიჭს სახე ჭალარა წვერით ჰქონდა დაფარული. მამამ უთხრა:

ახლა მითხარი ვინ ხარ, რა გინდა და აქ რამ მოგიყვანაო.

ბავშვმა უამბო, რაც თავს გადახდა. დედა, მამა და დაიკო გაკვირვებული უსმენდნენ ბუზღუნას ნაამბობს.

თუ ეს მართალია, აიღე ევ შენი სათი და მდინარეში გადაავდე.

ადგა ბიჭი, ჩაიბრინა მდინარესთან, გადაავლო საათი და მშობლებს დაუბრუნდა ისეთივე ბიჭი, როგორიც იყო. მას შემდეგ, ბიჭს აღარ უბუზღუნია და დღემდე ტკბილად ცხოვრობს თავის დედ-მამასთან და დაიკოსთან ერთად. ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.

ამბავი უკვდავებისა

ზღაპარი

- 1 იყო და არა იყორა,
სულ ლხინი და დროსტარება,
სოფლის ბოლოში, მთის ძირას,
ცხოვრობდა ბიჭი ხარება.
- 2 ხარება დედას უყვარდა,
დიდდა თავს ევლებოდა,
მამა რომ ბუნხარს ანთებდა,
პაპა ძველ ზღაპარს ყვებოდა.
- 3 დიდდას დღენი აღსრულდა,
პაპა რომ გარდაიცვალა,
ტკბილი ცხოვრება სიბერემ,
ცრემლით და ვიშით შეცვალა.
- 4 ხარება დაფიქრიანდა,
მოხუცნი რატომ კვდებიან?
ბავშვები რატომ ტირიან,
ობლებად რატომ რჩებიან.
- 5 რომ გავიზრდები იქ წავალ,
სადაც არ არის ტირილი,
უკვდავება მარადი,
არ არის სევდა, ჩივილი.
- 6 არ დაავიწყდა ხარებას,
ნათქვამი, რომ გაიზარდა,
მშობლებმა გზა დაულოცეს,
ამდენი რომ არ ედარდა.
- 7 მამამ ულღი შეაბა,
დედამ დააცხო შოთები,
ურემზე გადმოალაგა,
ხურჭინი, ტიკი, დოქები.

- 8 დასხდნენ, ჩავიდნენ ქალაქში,
ბაზარში დადგეს კარავი,
იქნება აქ გაუგიათ,
უკვდავებისა ამბავი.
- 9 მამამ დალოცა ხარება,
დედამ შეიშრო ცრემლები,
ყოჩაღად იყავ, ჯანმრთელად,
არ დაგავიწყდეს მშობლები.
- 10 დილით მზემ გამოანათა,
მწყემსმა გარეკა ხარები,
ყმაწვილმა ჩამოალაგა,
ყველი ტიკი და შოთები.
- 11 გლახაკს თუ მუქთათ მიჰქონდა,
მდიღარს არ ევაჭრებოდა,
კარიან რაც გადიოდა,
ორმაგად უბრუნდებოდა.
- 12 თუ სავსე არის ხურჯინი,
არ გაგონდება სოფელი,
პური თუ გაგითავდება,
ავად გყოლია მშობელი.
- 13 ხარება ისევ შეწუხდა:
ნეტა როგორ მყავს დედიკო,
თუ სავსე არის ტიკჭორა,
დედას მოუვლის მამიკო.
- 14 დრო გავიდა და ხურჯინში,
შოთები ისევ ჩაეწყო,
მშობლების სადღეგრძელებლად,
სტუმრობაც მალე მოეწყო.
- 15 იმ მშვენიერსა სალამოს,
ბევრი მოვიდა სტუმარი,
გაშლილ სუფრასთან კარავში,
ხარება იჭდა მღუმარი.
- 16 სასმისი ბევრი დაცალეს,
არ დარჩა უდღეგრძელები,
მშობლები, ნათესავები,
მახლობელ, შორეულები.

- 17 შუა ღამისას ხარებამ,
შენიშნა მოხუცებული,
განმარტოებით რომ იჯდა,
მოწყენილ-ჩაფიქრებული.
- 18 გვერდით მიუჯდა და ჰკითხა:
რატომ ხარ დაღონებული,
რატომ არ შესვი სასმელი,
არ ჩანხარ დაამებული.
- 19 მან უპასუხა: შენსავით,
ვეძებდი უკვდავებასა,
ეხლა კი სულ სხვა მადარდებს,
დავეძებ შენდომებასა.
- 20 თუ დამიჯერებ, უკვდავეთს,
ამ მხარეს ვერსად შეხვდები,
ზღვის იქით სადმე თუ ნახავ,
აქეთ კი ვერას გახდები.
- 21 ეს რომ ხარებამ გაიგო,
წამი არ დაუყოვნია,
ისე გასწია ზღვისპირეთს,
უკან არ მოუხედნია.
- 22 ჩავიდა ნავსაყუდელში,
მოძებნა გემის პატრონი,
ოქრო და ვერცხლი მოაკლდა,
დაპირდა საგზალ-სარჩომი.
- 23 ბევრი თუ ცოტა იარეს,
გამოელიათ საჭმელი,
ტიკჭორა დაცარიელდა,
მეზღვაურთ აკლდათ სასმელი.
- 24 ხურჯინში პური არ იდო,
შიმშილი დაწყებულყო,
უიმედობით გამწყრალი,
პატრონი მოღუშულიყო.
- 25 ერთ ღამეს ქარი ავარდა,
მას მოჰყვა ჭექა-გრუხუნნი,
ქალის ტირილი ისმოდა,
ვით ქარის სტვენა, ზუზუნნი.

- 26 გემბანს გაჰქონდა ჭრიალი,
ქარმა დაგლიჯა აფრები,
შორს მამის კვნესა გაისმა,
გემს გადაევლო ზვცირთები.
- 27 ზღვაში ჩავარდნილ ხარებას,
ფარავდნენ შმაგი ტალღები,
ტიკჭორა გულში ჩაეკრა,
მაგრად ჩაეჭდო ხელები.
- 28 დილით მზემ გამოანათა,
ზღვა ტალღებს აქანავებდა,
ღონე მიხდილი ხარება,
ტიკჭორას ძლივს იკავებდა.
- 29 ძაღლონე გამოღეულმა,
ტიკჭორას ხელი გაუშვა,
ტალღის ქეჩოზე შემეჭდარი,
ქვიშაზე ისე დაეშვა.
- 30 ნაპირზე იწვა უმწეო,
მრავალ განსაცდელს გავლილი,
დამზრალსა მზე ვერ ათბობდა,
მშიერი იყო, მწყურვალი.
- 31 თვალი ახილა, ფეხთ ედო,
სველი ხურჯინი მამისა,
ტიკჭორაც იქვე ესვენა,
გამოტანილი ქარისა.
- 32 ხურჯინი ახლოს მიიდგა,
იმედი ჰქონდა მშობლისა,
შიგ ყუა იდო, დამბალი,
გემოთი დედის ცრემლისა.
- 33 ფეხი მოსდევდა თუ არა,
აქ რაღა გააჩერებდა,
იმაზე აღარ ფიქრობდა,
უკვდავეთს თუ მიაგნებდა.
- 34 გაღმა, წულისპირას, რიტეზე,
ირემი დაჩოქილიყო,
თავი რომ დაბლა დაედო,
რქა ცაში დაკარგულიყო.

- 35 ხარება ნახა თუ არა,
ირემმა ცრემლი დაღვარა,
დასვა და სტუმარს უამბო,
დამშვიდდა, გულით იხარა.
- 36 ათასი წელი გავიდა,
ამ მხარეს კაცს არ უვლია,
უმწეო ვიყავ, დღეიდან,
სიცოცხლე, სიხარულია.
- 37 უკვდავებისა ამბავი,
უთუოდ გეცოდინება,
დაჯე და წვრიალ მიამბე,
მანამ არ მოგეწყინება.
- 38 ეს არის რასაც ეძებდი,
მოხვედი უკვდავებაში,
დარჩი და იყავ მანამდე,
რქა მიებჯინოს ზეცაში.
- 39 დიდ გასამრჯელოს არა გთხოვ,
დაიდგავ მარად კერასა,
ღელედან ცივ წყალს მომაწვდი,
ზვინად დამიდგავ თივასა.
- 40 ეს უკვდავება მარადი,
ბედნიერება არ არი,
ლხინი, შვება და განცხრომა,
ან სიყვარული სად არი?
- 41 მარად ლხინი და განცხრომა,
მე არსად გამიგონია,
მარადიული სიცოცხლე,
უშრომლად, მონაგონია.
- 42 ბევრი იარა ხარებამ,
გადაიარა მთა-ბარი,
ყორანი დახვდა გზის პირას,
ხის კენწეროზე მთვლემარი.
- 43 დაბლა, ბარდებში ჩამჯდარი,
მოჩანდა გრძელი, შავბნელი,
ორად რომ ჰყოფდა ქვეყანას,
უძირო, მყრალი ქვესკნელი.

- 44 ყორანმა უთხრა: შევიტყვე,
შემოგლეგია ღუნია,
უკვდავეთის გზა კაცთაგან,
უჩემოდ ვის მიუგნია?
- 45 დარჩი და ხევში იცხოვრე,
მანამ არ მოგეწყინება,
მანამ ეს მთელი ხეობა,
სკინტლით არ ამოივსება.
- 46 მართალსა ბრძანებ ყორანო,
გონება თან დაგყოლია,
ესე ხანგრძლივი სიცოცხლე
და უკვდავება ტოლია.
- 47 მაგრამ მისთვის არ მოვსულვარ,
რომ ვავსო შენი ქვესკნელი,
გინდა რომ დავრჩე კაცთაგან,
ამ ქვეყნად უკანასკნელი.
- 48 მივხვდი რას ეძებ ყმაწვილო,
ეს ხევი არის უძირო,
თუ გული გერჩის გადადი,
საქმე მოგელის საგმირო.
- 49 დრო აღარ იყო ფიქრისა,
უკან რა დააბრუნებდა,
წინ იყო განცდა, იმედი,
მიეგნო, რასაც ეძებდა.
- 50 წაქცეულ ხეზე ავიდა,
ხიდად რომ იდო ხევზედა.
შუამდე ისე იარა,
არ ჩანგრეულა ბედზედა.
- 51 აქ ფეხი დაუსრიალდა,
ძელმა დაიწყო ჭრიალი,
ჩატყდა და ხევში ჩავარდა,
უფსკრულმა მოსთქვა ზრიალი.
- 52 მორჩა და ორომტრიალში
დაკიდულიყო ხეზედა,
ხურჯინიც იქვე ეკიდა,
ვით მამის გაწვდილ ხელზედა.

- 53 სუნთქვა შეკრული ჯურღმულში,
ზიზღით ვერ იყურებოდა,
და, მყრალ ორმოდან ამოსულ,
ოხშივრით იგუდებოდა.
- 54 ესე რომ ერთხანს ეკიდა,
მკლავებში იგრძნო ტკივილი,
რომ დაიძახა: ვაი დედავ!
ექოდ მოესმა კივილი.
- 55 მოწყდა და ეკლებს მოეგო,
ბედი კვლავადაც წყალობდა,
რიჟრაჟზე გზა რომ გამოჩნდა,
ბუჩქებში ჩიტი გალობდა.
- 56 სამშვიდობეზე გასული,
ულონოდ იჭდა ქვაზედა,
ცოტა რომ მოსულიერდა,
მზე მაღლა იყო ცაზედა.
- 57 სულ ერთად გადაავიწყდა,
რაც ჰქონდა გადატანილი,
როცა სასახლე შენიშნა,
ღრუბლებში ზეტანილი.
- 58 ბროლის სასახლე მაღალი,
შავ ღრუბელს მიფარებოდა,
ქორივით კლდეზე შემდგარი,
უცხო თვალს ემალებოდა.
- 59 ხარბამ ეხლა იგემა,
შვება და სინარული,
“ეხლა კი მჭერა: მოვედი,
ეს არის გზის დასასრული”.
- 60 ბედნიერებას ვერ იგრძნობ,
მანამ არ გაგიჭირდება,
ბედნიერი ხარ როდესაც,
საშველი გამოგიჩნდება.
- 61 კლდეზე ავიდა, უკვირდა,
სად აუგიათ სასახლე,
ირგვლივ არ ჩანდა ვცენახი,
არც წყალი და არც მოსახლე.

- 62 სასახლე შემოიარა,
 ეზო, კარი და დარბაზი,
 არ ჩანდა არც მასპინძელი,
 არც მსახური, არც ხაბაზი.
- 63 დაჯდა, მიიღვა ხურჯინი,
 გაჭირვების ჟამს მარჩენი,
 ხელი ჩაყო და მოსინჯა,
 იქნებ რა იყო ნარჩენი.
- 64 კუნჭულში იდო გამხმარი,
 ნატეხი შავი პურისა,
 მაგარი იყო, ბზინავდა,
 ვით ლოდი ქვამარილისა.
- 65 ცარიელი და გამხმარი,
 ტიკი დაკეცა, დაწურა,
 და როგორც იქნა ხმელ პურზე,
 სულ ერთი წვეთი აპკურა.
- 66 უცებ იჭეჭა, იელვა,
 ბურუსი გადაეხადა,
 უმგვანო ხმელი ნატეხი,
 ქალწულად გამოეცხადა.
- 67 შიშმა მყის გადაუარა,
 როცა ქალის ხმა მოესმა,
 “დაგიძახე და მოხვციდი,
 მოქმედებს ჩემი თილისმა”.
- 68 ქალი ხარ მზეთუნახავი,
 ღირსი რა გითხრა ქებისა,
 მიტხრ ეს არის ქვეყანა
 მარადი უკვდავებისა?
- 69 უკვდავება და სიცოცხლე,
 არავის მობეზრებია,
 რისთვის მოსულხარ ამ მხარეს,
 ადვილი მისაგნებია.
- 70 დავრწმუნდი, ბრძენი ქალი ხარ,
 მოსუყვარულე გულისა,
 მიტხარ ე სარის ქვეყანა მარადი სიხარულისა?

- 71 მარად სიხარულს თუ ეძებ,
მოხვედი, დიდი ხანია,
ჩემი ერთგული თუ დარჩი,
ეჭვი ნუ მიგიტანია.
- 72 ეს არის, მითხარ, ქვეყანა,
სადაც არ არის ტკივილი,
ირგვლივ რომ სუფევს მარადი,
შვება, ლხინი და სიცილი?
- 73 მომწონხარ, სწორე შენა ხარ,
ბროლის სასახლის მფლობელი,
ჩემი უკვდავი მეუფე,
უცხო და მახლობელი.
- 74 ამდენი შიში, წამება,
უქმად არ იყო განცდილი,
მუშტი გულს იკრა ხარებამ,
“აღსრულდა ჩემი წადილი”.
- 75 ეხლა კი დადგა დროება,
ნანატრის აღსრულებისა,
აიღე თასი, დასცალე,
ნექტარი უკვდავებისა.
- 76 შესვა და ბროლის კედლები,
გაქრა და წერი ამაღლდა,
აღმაფრენა რომ გათავდა,
სამყარო შემოტრიალდა.
- 77 აღსრულდა ბედის ტრიალი,
ჭერქვეშ მოექცა კედლები,
ხარება დაბლა დაეშვა,
დაინთო ბროლის შანდლები.
- 78 სუფრას მიუსხდნენ, დაიწყო,
ლხინი, სიცილი, კისკისი,
საუკუნეთა მანძილზე,
არ კლებულობდა ხალისი.
- 79 რად მომაგონდა სასმელი,
თუ არ ვიგრძენი წყურვილი?
რად მომაგონდა საჭმელი,
თუ არ ვიგრძენი შიმშილი?

- 80 მოწყენით იჭდა ხარება,
ნადიმი რომ არ გათავდა,
იდარდა, როცა დარწმუნდა,
მშობლებს რომ ველარ ნახავდა.
- 81 უკვდავებია წამალი,
ზოგს უსაქმობა ჰგონია,
ზოგიერთს უქმე, ზემი,
ყოველდღიური ჰგონია.
- 82 ერთხელ იკითხა ხარებამ:
სად არის შენი ვენახი?
გავიდეთ, მინდა დავბარო,
რა ძნელი გახდა სანახი?
- 83 ქალმა მიუგო: ჩვენ შორის,
შრომა რა მოსაგონია?
ტკბილსა მწარეზე რომ ცვლიდნენ,
თუ სადმე გაგიგონია?
- 84 ხარება სევდამ შეიპყრო,
რატომ არა ვარ მშობელი?
რატომ არ მიდგეს დარბაზში,
აკვანი, მახარობელი?
- 85 უზრუნველი ხარ, უკვდავი,
შვილები რად გაგონდება?
მანამ შენ ერთხელ მოილხენ,
ჩვილიც კი დაგიბერდება.
- 86 მე ამას როდი ვნატრობდი,
განა რა უკვდავებაა?
მშობლები რომ დამავიწყე,
ეს ჩემი მოტყუებაა.
- 87 ქალი გაფითრდა, გაშავდა,
თვალში ნაღველი ჩაუდგა,
ნაზი კეკლუცი ქალწული,
ბერ-კუდიანი გამოდგა.
- 88 ეხლა კი მიხვდა ხარება,
ვინ იყო მისი მეუფე,
რა იყო ეს უკვდავება,
ან მიჯნურისა სიტურფე.

- 89 აღარ ახსოვდა ხარებას,
არც ფიცი არც უკვდავება,
გული შინისკენ ილტვოდა,
იქ იყო ბედნიერება.
- 90 თავს რომ უშველა, იარა,
ვერ იცნო ყოჩნის მამული,
აღარსად ჩანდა ფრინველი,
არც ხე და არცა ჭურღმული.
- 91 ყორანი გარდაცვლილიყო;
სკინტლით აევსო ქვესკნელი,
ჩონჩხს ფეხი წაკრა, გაფანტა,
არ იყო სახსენებელი.
- 92 შორიდან ჩანდა ირმის რქა,
ასული მალლა, ცაზედა,
ირემი გაწოლილიყო,
ველარ დგებოდა ფეხზედა.
- 93 ირემმა მოსულს შესჩივლა:
რქას ველარ ვზიდავ ზეზედა,
წყალი შემასვი, გეთაყვა,
გაღმა გაგიყვან ხმელზედა.
- 94 ხარებამ წყალი შეასვა,
ზვინი მიუდგა თივისა,
ირემმა ცრემლი დაღვარა,
გარდასულ წუთისოფლისა.
- 95 მე უკვე აღარ ვვარგივარ,
მოდი ხელი მკარ რქაზედა,
შენ მაინც გამოგადგები,
ხილად დავწვები ზღვაზედა.
- 96 ხარებამ რქაში ხელი ჰკრა,
დაიძრა ატყდა შხუილი,
იქროლა ციდან კიდემდე,
ატყდა ელვა და ქუხილი.
- 97 რქა როცა დაბლა დაეცა,
ხილად დაიდგა ზღვაზედა,
უღრუბლო მზიან ამინდში,
ტალღა ავარდა ცაზედა.

- 98 ირემმა რომ განისვენა,
ხარება შედგა რქაზედა,
ფენი რომ დაკრა გამოღმა,
გალმა გავიდა ხმელზედა.
- 99 ჩავიდა ნავსაყუდელში,
ზღვისპირი შემოიარა,
არვის ახსოვდა ხარება,
გულზე დაედო იარა.
- 100 ხალხი რომ იყო გარშემო,
მარტოკა იყო სულითა,
ვისმეს რომ გახსენებოდა,
გაიხარებდა გულითა.
- 101 ქალაქი შემოიარა,
არ შეხვდა თანასოფლელი,
ვილას ახსოვდა ხარება,
და ან ხარებას სახელი.
- 102 ხარება გაყვა შარაგზას,
იმედი დარჩა სოფლისა,
იქნება ვისმეს ახსოვდა,
ანდერძი მისი მშობლისა.
- 103 ორღობე ამოიარა,
ნაცნობ მთის ძირას შეჩერდა,
ეს სახლი როგორ დაძველდა,
ეს მუხა როგორ დაბერდა.
- 104 ხარებას არვინ ელოდა,
ჭიშკარში დახვდნენ ძაღლები,
აყეფდნენ, ეცნენ, დაკბინეს,
შემოაფლითეს კალთები.
- 105 ძაღლები რომ მოაშორეს,
უამბო თავის ავნედი,
ეს მამაჩემის სახლია,
ხარება მქვია, მოვედი.
- 106 როგორც კი სახლი ახსენა,
კვლავ მიუხიეს ძაღლები,
გააგდეს, კარში ჩაუდგნენ,
სოფლის კაპასი ქალები.

- 107 ხურჯინში იდო, მოძებნა,
დედის მალამო, მაქები,
რომ მოიშუშა ჭრილობა,
მოწმინდა სისხლის ლაქები.
- 108 მიხვდა, რომ ქვეყნად მარტოა,
იმედად ღვთისა ნებისა,
უპატრონო და უძირო,
მნახველი უკვდავებისა.
- 109 ქალაქია თუ სოფელი,
სალოცავი აქ ბევრია,
ქვეყანა დიდი რომ არის,
მამათ საძვალე ერთია.
- 110 სოფელმა თუ არ მივიღო,
ყამირს რომ გასტეხ, შენია
პატრონიც შენა ყოფილხარ,
სახლი თუ ავიშენია.
- 111 ნაცნობ მთის ძირას მოძებნა,
ვენახი მამისეული,
მეჩხერი, გაუსხალავი,
ბარდებში გადაკარგული.
- 112 ამოარჩია ადგილი,
მოზომა, ძირი გათხარა,
ქვა ზიდა, კირი მოზილა,
და საძირკველი ჩაყარა.
- 113 ბევრი თუ აკლდა არაცვის,
არ ათქმევინა უარი,
ჩალა იყო და დახურა,
ააგიზგიზა ბუნარი.
- 114 შველს რომ ჭალაში სწველიდა,
გუდას ავსებდა ყველითა,
სოფელმა ნერგი უბოძა,
კართან რომ იდო დილითა.
- 115 ისევ გადახსნა ხურჯინი,
სახსენებელი მშობლისა,
ხელი ჩაყო და შიგ იდო,
ნატეხი წილი ობლისა.

- 116 ისევ მოსინჯა კბილითა,
ყუა გამხმარი პურისა,
ვერცა დააღბო ნერწყვითა,
მაგარი ვით ქვითკირისა.
- 117 ღვინო არ ჰქონდა, რა ექნა?
რძეში ჩააღბო ხვედრითა,
იცოდა რაც მოხდებოდა,
კეტი მიიღვა გვერდითა.
- 118 ისევ იჭექა, იელვა,
ბურუსი რომ გადენადა.
მზეთუნახავი ქალწული,
იმ დღესაც გამოეცხადა.
- 119 ხარებას არ გაუკვირდა,
მეორედ მოსვლა ქალისა,
კუდიანია, იფიქრა,
მფლობელი ბროლის სახლისა.
- 120 ქალმა მიუგო: ის არ ვარ,
ტყუები ვარ იმ გრძნეულისა,
ვინც დაგვიმოკლა სიცოცხლე,
ჩემი და ჩვენი მშობლისა.
- 121 თუნდ ტყუებისცალი ყოფილხარ,
კუდიანი ხარ მოდგმითა,
უკვდავება რომ ვიხილე,
ველარ მომხიბლავ ამითა.
- 122 უკვდავებისა წადილით,
არ გაგვაჩერა გვერდითა,
ჩვენ შეგფვიმოკლა სიცოცხლე,
უკვდავი გახდა ამითა.
- 123 კუდიანთ ტკბილი ბაასი,
თითქოს სიმართლის მსგავსია,
ნუ იტყვი, მოკლე სიცოცხლე
კაცთმოდგმისათვის წესია.
- 124 სიცოცხლე მოკლე არ არის,
დიდია წუთისოფელი,
შენ უკვდავება მოგელის,
თუ გახდი ტკბილი მშობელი.

- 125 ტკბილია შენი ალერსი,
მართალს მიგიგავს მსჯელობა,
კუდიანთ მეტი რა შეგწევთ,
ეგ არის თქვენი ხელობა.
- 126 შენ რომ გრძნეული დათრგუნე,
მე დამიბრუნე სიცოცხლე,
მადლოერი ვარ, ვიქნები,
შენი ერთგული მოახლე.
- 127 მოახლე მე არ მჭირდება,
იქნება გახდე მშობელი,
დამარწევინე აკვანი,
სიცოცხლის მახარობელი.
- 128 ორ ძეს გიბოძებ, ორ ასულს,
მოგელის ტკბილი მამობა,
შენ უკვდავებას მოგიტანს,
ულევი შთამომავლობა.
- 129 მაშინ ერთსა გთხოვ პირობას,
ტყეში ვიქენ თუ მთაშია,
ჩვილი თუ აგიტირდება,
ძუძუ ჩაუდე ყბაშია.
- 130 თუ მხეცმა გული გაგიპო,
ტყე-ღრეში მარტოდ მავალსა,
ისეთ ცრემლებით დაგტირებ,
მტერსაც შეშურდეს მტარვალსა.
- 131 მორჩა და ამით გათავდა,
ღვაწლი მოგელის დედისა,
შენ ხელში არის ამიერ,
სადავე ჩვენი ბედისა.
- 132 მას შემდეგ სახლში, მთის ძირას,
ხშირად ისმოდა სიცილი,
სულ ირწეოდა აკვანი,
მზრუნველი ხელით მოვლილი.
- 133 ასულებს რომ ათხოვებდნენ,
ძებებს მოჰყავდათ სარძლონი,
ოჯახში იყო ბარაქა,
პატარებს ყავდათ პატრონი.

134 უფროსებს ერქვათ ხარება,
პაპათ პაპათა სახელი,
უმცროსებს მამის სახელი,
არ დაავიწყდეთ მშობელი.

135 ხარება დედას უყვარდა,
დიდება თავს ევლებოდა,
მამა რომ ბუხარს ანთებდა,
პაპა ძველ ზღაპარს ყვებოდა.

დასასრული.

თბილისი, 2000 წ.



ნიკოლოზ ხუციშვილი, ბორჯომი. დაახლოებით 1915 წ.
 Николай Виссарионович Хуцишвили, г. Боржоми, примерно 1915 г.
 Nikoloz Khutsishvili, Borjomi, about 1915



ნატალია ხუციშვილი. 1930-იანი წლების დასაწყისი
 Наталья Яковлевна Хуцишвили, начало 1930-х годов
 Natalia Khutsishvili, early 1930s



შოთას მამა – ნიკოლოზ ხუციშვილი აეროპლანთან, 1910 წ.
Отец Шота, авиатор Николай Виссарионович Хуцишвили у аэроплана, 1910 г.
Shota's father Nikoloz Khutsishvili in front of his aeroplane, 1910



ნიკო (ნიკოლოზ) ხუციშვილი (მარცხნიდან მეორე) საქართველოს პირველ მანქანათმშენებლებთან ერთად. დაახლოებით 1912.

Нико (Николай) Хуцишвили (второй слева) в группе первых машиностроителей Грузии.
Примерно 1912 г.

Nikoloz Khutsishvili (second from left) in a group of first Mechanical Engineers of Georgia. About 1912.



ფოტოზე: თბილისის 34 საშუალო სკოლის მეცხრეკლასელთა ჯგუფი, 1941 წ. შოთა ზის მარჯვნივ.

На фотографии группа девятиклассников Тбилисской средней школы №34, 1941 г. Шота сидит справа.


On the picture: a group of Tbilisi school #34 graduates, 1941. Shota is seated to the right side

შოთა მეგობრებთან ერთად, რომლებიც მიიღეს მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტში 1944 წ. მარცხნიდან მარჯვნივ: **ოთარ დავლიანიძე, შოთა ხუციშვილი, ზურაბ ჩხეიძე**

Шота вместе с друзьями, поступившими в Московский авиационный институт, 1944 г. Слева направо: **Отар Давлианидзе, Шота Хуцишвили, Зураб Чхеидзе.**

Shota with the friends admitted to the Moscow Aviation Institute, 1944. Left to right: **Otar Davlianidze, Shota Khutsishvili, Zurab Chkheidze.**





შოთა ხუციშვილი
Шота Хуцишвили
Shota Khutsishvili
(1924-2012)



მეუღლე: სოფიო ხუციშვილი
Супруга: Софиа Хуцишвили
Wife: Sophia Khutsishvili
(1924-2012)



ხუციშვილების ოჯახი, 1996 წ.
მარცხნიდან მარჯვნივ: შოთა, შვილი გიორგი, შვილიშვილი ვიქტორია-სოფიო და მეუღლე სოფიო

Семья Хуцишвили, 1996 г.

Слева направо: Шота, сын Георгий, внучка Виктория-София и супруга София

The Khutsishvilis, 1996

Left to right: Shota, son George, granddaughter Victoria-Sophia and wife Sophia



ნიგნი ეძღვნება ცნობილი ქართველი გამომგონებლის შოტა ხუციშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას. მისი მთავარი გამომგონება ჯერ კიდევ ელის ჯეროვან შეფასებას და აღიარებას

Книга посвящается жизни и творчеству известного грузинского изобретателя ШОТА ХУЦИШВИЛИ, главное изобретение которого всё ещё ожидает должного признания

The book is dedicated to the life and works of a renowned Georgian inventor SHOTA KHUTSISHVILI whose main invention still awaits its proper assessment and recognition

A Life Dedicated to an Idea

ბრუნაშვილი მიძინაძის ცხოვრება

Жизнь посвящённая идее